

140 / 3
1952

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ



Վ. Ե. Թ. Ե. Կ. Ե. Ե.

5
ՅՈՒՆԻՎ
1952


ს ა ლ უ ტ ი

თითქოს უთვლელი
ფარშევანი აფრინდა ერთად,
ისე დახატეს
შუშხუნებმა მთელი მთა-ბარი;
ვეფხვის ტყავებად
აბრჭყვიალდნენ ჩრდილები ხეთა
და წაიშალა ზეცისა და მიწის საზღვარი.

ქვის გალავანთან ქვემეხების გრიალი ატყდა,
კიდით კიდემდე
მოეფინა გუგუნი მძაფრი...
ღიად სამშობლოს—
ბედნიერი სიცოცხლით დამტკბარს
უძლეველობას უდასტურებს ყოველი ზაღბი.

ჩვენ გამარჯვებებს
სალუტებით ვხვდებით ნიადაგ,
ხელთ კომუნიზმის
შუქნათელი დროშა გვიჭირავს
და თუ ვერაგი
აჟღარუნებს მაინც იარაღს,
მას უღმობელი ისტორია აღგვის მიწიდან!

გალვა ამისულაშვილი






ჭ ი თ ნ ე რ ი

საბარტველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოგელთვიური საგავფო შუგნალი

№ 5

მაისი 1952

ფელიწალი XXVI



ს(ო)ს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაგზოლეუმის ტრიბუნაზე 1952 წლის საბირველმაისო დემონსტრაციის
დღეს. ქალაქ მოსკოვის 612-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვერა კონდა-
კოვა მხურვალედ მიესალმება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს თაიფულის გა-
დაცემის შემდეგ.



საბჭოთა კავშირის წიგნი პიონერებს



სულთ და გულთ მივესადმები ნორჩ პიონერებსა და მოსწავდეებს ვ. ი. ღენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდა-მეათე წლისთავის დღეს.

ვუსურვებ პიონერებსა და მოსწავდეებს ჯანმრთელობას და წარმატებებს სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაე პიონერთა ორგანიზაციამ კვლავაც აღზარდოს პიონერები და მოსწავდეები ერთგულ ღენინელებად, ჩვენი დიადი სამშობლს თავდადებულ შვილებად.

ი. სვანიძე



მე ყველაზე ბედნიერი ვარ

დაუპირფარეო დღე

ჩვენს სკოლაში ბევრი გოგონა სწავლობს, და ყველა მათგანი ამბობს, რომ მე ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან სულ ახლოს ვნახე ძვირფასი ამხანაგი სტალინი და კიდევაც ველაპარაკე.

არა, ყველაფერს რაზეც ვიამბობთ.

ჯერ მოსწავლეები რიგებად ჩამწკრივდნენ და წითელი მოედნისკენ გაემართნენ. მე პირველ რიგში ვიდექი და დიდი თავიგული მიმქონდა. ბავშვები ტრიბუნისაკენ იუბურებოდნენ, სადაც იდგა ამხანაგი სტალინი, მეც იქითკენ ვიუბურებოდი. შემდეგ ჩვენი კოლონა მავსოლეუმს გაუსწორდა. მაშინ მწკრივიდან გამოვედი და გრანტის კიბეზე ავირიბინე.

ამხანაგი სტალინი ტრიბუნაზე იყო, მაშინვე ვიპოვე და ყვავილები მივაწვდი. იოსებ ბესარიონის-მე ილიმბოლა, მე კი ვუთხარი:

— ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ეს თავიგული ყველა მოსოველმა მოსწავლემ გამოგიგზავნათ.

ამხანაგმა სტალინმა თავიგული გამომართო, მე კი სკამზე დამაყენა. მაგრად, მაგრად ვაკოცე ამხანაგ სტალინს.

მანაც მაკოცა და მკითხა: რა გვიბა, რომელ სკოლიდან ხარ და როგორ სწავლობ.

მე ვუთხარე, რომ კარგად ვსწავლობ, იმან კი მითხრა:

— კიდევ უფრო კარგად ისწავლე!

ბელადის ის სიტყვები ჩვენი სკოლის ყველა გოგონას გადავიცე. მე ხომ ყველა ბავშვის სახელით ვაღავეცი ამხანაგ სტალინს თავიგული! მაშ, რაც მე მითხრა, ყველა მოსოველ მოსწავლესაც ესება.

ჩვენი სკოლის გოგონებმა გადაწყვიტეს ისე ისწავლონ, რომ ამხანაგი სტალინი კმაყოფილი იყოს.

პირა კონდაკოვა

მოსკოვის 612-ე სკოლის მოსწავლე.
(გაზ. „ოქნი ლენინეციდან“)

1947 წელს გახდა პიონერი. ჩემს ცხოვრებაში ეს დაუვიწყარი დღეა. ველადავი, გულში ვიუბურებდი საზეიმო დაპირების სიტყვებს და ველოდი ჩემს რიგს, აი, მეც ვთქვი საზეიმო დაპირება, ჩემს მკერდზედაც აელვარდა აღისტერი ყელსასვეცი.

ჩემს წინაშე ახალი სამყარო გადიშალა. ეს მავალედა ვყოფილიყავი მოწინავე, სუთოსანი და წესიერი ყოფაქცევის მოსწავლე. პიონერთა რიგებში მიღების რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს კლასში ჩამოაკლიბდა რაზმი, რომლის საბჭოს თავმჯდომარედ მე ამირჩიეს და იმ დღიდან ვასრულებ ამ საბასუსისმგებლო და საპატიო მოვალეობას. პირველ ხანებში მიჭირდა მუშაობა, მაგრამ უფროსი ამხანაგები მესმარებოდნენ, მამსენევედნენ და მეც თანდათანობით გავთამამდი, შევეჩვიე მუშაობას; შემოვიკრიბე პიონერული აქტივი და რაზმში მჩქეფარე პიონერული მუშაობა ვაიშალა.

რამდენი საინტერესო შეკრება, ექსკურსია, ლაშქრობა ჩატარეს ამ წლის განმავლობაში ჩვენი რაზმის პიონერებმა! განსაკუთრებით დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ბელადის მშობლიური ქალაქის ვორის დათვალიერებამ. იმ ძვირფასი სახლის ნახვამ, სადაც დამბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდა სტალინმა. შემდეგ შეკრებები მიძღვნილი იყო ღენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესწავლისადმი. მოვამწყეტე წყაობული წიგნებისა და კოლექტიურად ნახული კინო-სურათების განხილვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რაზმში მთელი მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემდგომი ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

ნაირა ბერაძე

თბილისის VI ქალთა საშუალო სკოლის VIII რაზმულის I რაზმის საბჭოს თავმჯდომარე



Пролетары всех стран, соединитесь!
Всесоюзная Коммунистическая Партия (больш.)



ПРАВДА

Орган Центрального Комитета и МК ВКП(б)

ბოლშევიკური პრესის დღე

ორმოცი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა სახელოვანი ბოლშევიკური გაზეთის „პრავდას“ პირველი ნომერი. იგი დაარსებულ იქნა ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, ე. ბ. სტალინის ინიციატივით. „პრავდამ“ უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში; „1912 წლის „პრავდა“— აღნიშნავს ამხანაგი სტალინი— ეს საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს“. „საკაჟეშირო კ.პ.(ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ვკითხულობთ: „პრავდასთან“ ერთად იზრდებოდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელშიც შემდეგში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩატარა. „პრავდას“ წიკვედობდნენ ათიათასობით და ასიათასობით მუშები. რევოლუციური აღმშენებლის წლებში (1912—1914) მასობრივ ბოლშევიკურ პარტიას ჩაეყარა მტკიცე საფუძველი, რომლის დანგრევა ვერ შესძლო ცარიზმის მხრივ ვერავითარმა დევნამ იმპერიალისტური ომის პერიოდში“.

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე „პრავდას“ მაღლა უჭირავს ბოლშევიზმის დიადი დროშა; მას მშრომელთა მილიონებამდე მიჰქონდა და მიაქვს პარტიის ბრძნული სიტყვა და საქმე, ის რაზმავდა ხალხს რევოლუციური ბრძოლების ისტორიის ყველა ეტაპზე. „პრავდის“ მგზნებარე სტრიქონები შთააგონებდნენ მშრომელთა მილიონებს, როცა ისინი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით საფუძველს უყრიდნენ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, „პრავდას“ აზნევენდა და ძალას უსაყვებდა ჩვენს მებრძოლებს, როცა ისინი სამოქალაქო ომის წლებში იცავდნენ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას და აცამტკიცებდნენ ინგლისელ-ამერიკელ ინტერვენტებისა და

თეთრგვარდიელი ნაძირალების ურდობებს; „პრავდას“ განამტკიცებდა ხალხთა ლენინურ-სტალინურ შეგობობას მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. საბჭოთა პრესამ და მისმა მოწინავე ორგანომ „პრავდამ“ განუზომლად დიდი როლი შეასრულეს სამამულო ომის დროს; ბოლშევიკური პრესის მგზნებარე, ცეცხლოვანი სიტყვა ერთნაირად შთააგონებდა და აღფრთოვანებდა, როგორც ფრონტის მებრძოლებს, ისე ზურგის მშრომელებს.

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი მთელი გატაცებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, როცა ჩვენი ქვეყანა სათავეში უდგას მსოფლიოს ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის—კვლავ მძლავრად ისმის „პრავდის“ მართალი და მგზნებარე სიტყვა; ჩვენი ბოლშევიკური პრესა „პრავდის“ მეთაურობით რაზმავს მშრომელებს პარტიის მიერ წამოჭრილი ამოცანების ვადასაწყვეტად, განამტკიცებს მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა რიგებს. ამხალღებს და საარკაცხინო ბოძზე აკრავს ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩალებლებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ იხსნან ისტორიის მიერ დასაღუპავ დანაწი რული, მისრწინილი იმპერიალიზმში.

დღევანდელ ვითარებაში „პრავდას“ ასწავლის და მოუწოდებს მშვიდობისმოყვარე ხალხებს გააძლიერონ მშვიდობისათვის ბრძოლა, გააძლიერონ სიფხიზლე; „პრავდას“ მსოფლიოს ხალხებში ნერვავს და განამტკიცებს იდეებს ლენინიზმისას, რომელიც საიმედო კომპასი და შუქურაა სოციალიზმისა და კომუნისმის ყველა მშენებლისათვის, იმპერიალიზმის სწრაფად და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლისათვის.

„პრავდას“ ვვასწავლის ფართოდ განავითაროთ და დღევანდელ ბოლშევიკური კრიტი-


კა და თვითკრიტიკა, რომელიც ჩვენი წინ-
სვლის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმო-
ადგენს. კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტი-
კა—ეს არის საბჭოთა საზოგადოების განვი-
თარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი
ძალა.

„პრავედამ“ უდიდესი როლი შეასრულა
საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ის-
ტორიაში; „პრავედამ“ აღზარდა მწერლები
და ლიტერატორები მშრომელთა წრიდან.
ჯერ ისევ „პრავედის“ პირველ ნომერში,
1912 წელს ამხანაგი სტალინი წერდა:

„დაე, ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა
მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერა-
ტორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივან
ზეციდან, მათი გამოუმუშავება ხდება მხოლოდ
თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის
მსვლელობაში. ოღონდ საქირთა უფრო გა-
ბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდ-
ჯერ წაიბორძიკებ და ამასობაში წერასაც
ისწავლი“.

ამხანაგ სტალინის ამ ბრძნულმა სიტყვებ-
მა ასპარეზზე გამოიყვანეს ლიტერატორთა
და მწერალთა ახალი თაობა, რომელმაც და-
იწყო სოციალისტური ლიტერატურის შექმ-
ნის დიდი საქმე. შემდგომ წლებში „პრავე-
დამ“ სახელოვნად გააგრძელა მწერალთა
ახალი კადრების აღზრდის საქმე. და დღეს
„პრავედა“, მთელი საბჭოთა პრესა განუხრე-
ლად იბრძვის საბჭოთა ლიტერატურის ახა-
ლი წარმატებებისათვის, იბრძვის საბჭოთა
კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის.

არ არსებობს ჩვენი ცხოვრების არცერთი
უბანი, სადაც ბოლშევიკური პრესის ფხიზე-
ლი თვალი არ სწვდებოდეს. ბოლშევიკური
პრესა, როგორც ნათელი შუქურა გზას უნა-
თებს მთელს ჩვენს ხალხს, შთააგონებს ახა-
ლი გმირული წარმატებებისათვის, როგორც
ფაბრიკა-ქარხნებში, ისე საკოლმეურნეო მი-
ნდრებზე, როგორც შახტებში, ისე სამეცნი-
ერო ლაბორატორიებში. ბოლშევიკური პრესა
წერავს და განამტკიცებს საბჭოთა პატრი-
ოტიზმის დიად გრძნობას, პარტიისადმი, დი-
დი სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგუ-
ლების წმინდა გრძნობას—ამაშია მისი
უძლეველობა.



საბჭოთა კავშირის გმირი მ. ქანთარია
★

მედროე შეგები

მტერს არ ვაძალეთ თვალის გახელაც,
გათაყვებულს არ ვახარებდით
და ვინც დაეცა, მათი სახელით
ჩვენ რაინსტაგზე ორნი ავედით.
ერთმანეთს ხშირად ვადავძახებდით,
ფიქრი რომ შორეთს გაგვიტაცებდა,
ვნახეთ ბერლინის გადასახედი
დიდი სტალინის ჯარისკაცებმა.
ჩვენს ფეხქვეშ ეგდო მტერი ვერავი
და თავდახრილი ბაიარაღები,
სადაც შევედით — მტერს მოვერიეთ,
ყველგან მშვიდობის კარებს ვაღებდით.
ჩვენ გავიმარჯვეთ! დაღრკა ავღარი,
და კომუნისმის დავედგით ხარაჩო,
გუშინ თუ ბრძოლის დროშა ვატარეთ,
ახლა მშვიდობის დროშას ვაღარაჯობთ.
თუ გატყდებოდა ცეცხლში გახვიონ
ჩვენი სამშობლოს ანთებული ცა,
ისე გატყდებოდა მათი მახვილი,
როგორც კარები ბრანდერბურგისა.

ბ. ნაპროვილი

სახანგო ჯაჟახაძე



გამარჯვების დროის აღმართვა რიხსტაგზე 1945 წლის მაისში

ნახატი უნა ჯაფარიძისა



ბ. შრილია

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში.



ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის მზრუნველობით ყოველდღიურად მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა სკოლა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ბავშვთა მასიური კომუნისტური ორგანიზაციის—ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის შექმნა, რომლის 30 წლისთავი აღნიშნულ იქნა მიმდინარე წლის 19 მაისს.

პიონერული ორგანიზაციის შექმნა, ზრდა და განმტკიცება მკიდროდა დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელმთაან.

1919 წ. 25 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე საყოველთაო სამედირო სწავლებისადმი მიძღვნილ ახალგაზრდობის პარადზე მოვიდნენ მოსკოველი ბავშვებიც, ამ დღეს ახალგაზრდობისა და ბავშვების წინაშე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

ვლადიმერ ილიას-ძემ მიუთითა, რომ ბავშვებიც უნდა ეხმარებოდნენ რევოლუციას, რომ ბავშვთა ორგანიზაციამ უნდა აღზარდოს ნორჩი თაობა ახალი სოციალისტური ცხოვრების აქტიურ მშენებლად. ასეთივე მოწოდებით მიმართა ვ. ი. ლენინმა კოქკავშირლებსა და ახალგაზრდობას კომკავშირის III ყრილობის ტრიბუნადაც; ახალგაზრდობის კავშირის წინაშე მან დასახა ბავშვთა შორის მუშაობის დიდი პროგრამა, განსაზღვრა ახალი თაობის აღზრდის გზები.

დიდი ბელადის მოწოდების შესასრულებლად, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, პარტიის დავალებით, კომკავშირი შეუდგა პიონერთა ორგანიზაციის შექმნას.

1922 წლის დასაწყისს ქალაქ მოსკოვის,

„ქრასნაია პრენისა“ რაიონის მე-16 სტამბის კომკავშირელებმა შექმნეს პირველი პიონერული რაზმი, ხოლო ამავე წლის 13 თებერვალს ჩაატარეს პირველი პიონერული შეკრება. შემდგომი 2 წლის მანძილზე კომკავშირი ქმნიდა პიონერულ რაზმებს ლენინგრადში, უკრაინაში, ბელურუსიაში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვა ადგილებში.

თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე პიონერული რაზმები გახდნენ ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილენი, ეხმარებოდნენ უფროსებს მუშაობაში, ხშირად მოდიოდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, აკრავდნენ პლაკატებს, ლოზუნგებს, აწყობდნენ ვაუთებისა და წიგნების კითხვას. შეფობას უწყევდნენ სოფლის სკოლებს.

1922 წლის მაისში კომკავშირის სრულიად რუსეთის II კონფერენციამ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა პიონერული ორგანიზაციის საკითხის შემუშავება. ეს დადგენილება პიონერული ორგანიზაციის განვითარების საფუძველი გახდა.

1922 წლის ოქტომბერში კომკავშირის V ყრილობამ ცალკეული პიონერული რაზმები გააფორმა ბავშვთა ერთიან კომუნისტურ ორგანიზაციად. ყრილობამ მიიღო პიონერული ორგანიზაციის დებულება, რომელსაც საფუძვლად დაედო დიდი ლენინის მითითებანი.

1923 წლის აპრილში შემდგარმა პარტიის XII ყრილობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი, აღნიშნა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა. ყრილობამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება გაეწიათ პიონერული ორგანიზაციის განვითარებისათვის.

1924 წლის 21 იანვარს საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ უდიდესი მწუხარება განიცადა. გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ პიონერთა ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლები.

1924 წლის 23 იანვარს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება რომ პიონერულ ორგანიზაციის მინიჭებოდა ვ. ი. ლენინის სახელი. ამვე წლის 23 მისი მავზოლეუმიდან შედგა მოსკოვის ნორჩ პიონერთა პარადი, პიონერულ ორგანიზაციისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ პარადს ესწრებოდა ი. ბ. სტალინი.

ამ დღეს ნორჩმა პიონერებმა სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ლენინის ანდერძისადმი ბოლომდე ერთგულების ფიცი დასდეს პიონერებმა ეს ფიცი ღირსეულად შეასრულეს. ამის დამადასტურებელია პიონერული ორგანიზაციის მთელი ისტორია.

პიონერული რაზმები შეძლებისდაგვარად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში. პიონერები ავტოციკლისა და ინდუსტრიალიზაციის სკისზე ხელისმომწირისათვის, აგროვებდნენ რკინის ჯაროს, აწყობდნენ შაბათობებს საწარმოებში.

ნორჩი პიონერები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში მხარში ედგნენ უფროსებს. ისინი გაბედულად იბრძოდნენ ხალხის მტრების წინააღმდეგ. საბჭოთა ახალგაზრდობა არასოდეს არ დაივიწყებს უშიშარ პიონერს— პავლიკ მოროზოვს, რომელიც კულაკების ხელით დაიღუპა.

პავლიკ მოროზოვი სოფელ გერასიმოვკას პიონერული რაზმის თავმჯდომარე იყო, იგი უშიშრად ებრძოდა კულაკებს. გაიგო რა მისი მამა კულაკებთან ერთად მტრულად მოქმედებდა, ამხილა იგი.

აქტიურად მონაწილეობდნენ რა სოციალისტურ მშენებლობაში, პიონერები ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ თავიანთ მთავარ ამოცანას—ბრძოლას მეცნიერების წარმატებით დაუფლებისათვის. ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ ამხანაგ სტალინის ბრძოლ მითითებებს.

„შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება. ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო, ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით“...

„...ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე სიმაგრეს ეწოდება მეცნიერება ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგებით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს იყოს ახალი ცხოვრების მშენებელი, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცველი გახდეს“.

დიდ სამამულო ომში, ნორჩი პიონერები ეხმარებოდნენ საბჭოთა არმიას. პიონერთა რიგებთან გამოვიდნენ შესანიშნავი პატრიოტები, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლები საბჭოთა კავშირის ნორჩი გმირი საშა ჩეკალინი, ვალოდა დუბინინი, ვალია კოტიკი, კოსტია კრაფჩუკი და სხვები. პიონერთა ორგანიზაციამ აღზარდა ზოია კოსმოდემინსკაია, ოლეგ კოშვევი, ლიზა ჩაიკინა და სხვები, რომლებმაც თავიანთი გმირობით უკეცავე სახელი მოიხვეჭეს.

დიდი სამამულო ომის ძღვემისათვის დამთავრების შემდეგ ნორჩი პიონერები ახალი ენერგიით ჩაებნენ ომის შემდგომი სტალინური ხელშეწყობის წარმატებით განხორციელების საქმეში. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის ასეინებისათვის ბრძოლაში.

უფრო მდიდარი, შინაარსიანი გახდა პიონერული ორგანიზაციის მუშაობა კომკავშირის XI ყრილობის შემდეგ. პიონერული ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან მასწავლებლებს აკადემიური წარმატების ამაღლებისა და სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

პიონერული შეკრებები, საგნობრივ წრეებში მონაწილეობა, ლაშქრობები და მოგზაურობანი მშობლიურ მხარეში, მკითხველთა კონფერენციები, ნორჩ ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა კონფერენციები ხელს უწყობენ პიონერებსა და მოსწავლეებს ცოდნის ხარისხის ამაღლებაში, მეცნიერების ღრმად დაუფლებაში.

მილიონობით პიონერ-მოსწავლე ჩამბულია სპორტში. მათ რიგებში გაიზარდნენ შესანი-

შნავი ტანმოვარჯიშენი, მოცურავეები, მძლე-
ოსნები, ფრენბურთელები, კალათბურთელები
და ფეხბურთელები.

პიონერები იზრდებიან ძლიერნი, ხალისი-
ანნი და სიცოცხლოთ სავსენი. ისინი აქტი-
ურად მონაწილეობენ მხატვრულ თვითშემოქ-
მედებაშიც—უყვართ ცეკვა, სიმღერა, მხიარ-
ულება.

თავისი არსებობის 30 წლის მინძილზე ვ. ი.
ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზა-
ცია გაიზარდა და განმტკიცდა. თუ 1923
წელს პიონერულ რაზმებში ირიცხებოდა სულ
75 ათასი პიონერი, ამჟამად ვ. ი. ლენინის
სახელობის პიონერული ორგანიზაცია 19
მილიონ ბავშვს აერთიანებს.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრო-
ბის, პირადად დიდი სტალინის მზრუნველო-
ბით პიონერებსა და მოსწავლეებს შექმნილი
აქვთ ყველა პირობა იმისათვის, რომ გახდ-
ნენ კულტურული, ყოველმხრივ განვითარე-
ბული საბჭოთა ადამიანები.

ჩვენს ქვეყანაში 20 ათასზე მეტი სკოლაა.
მილიონნახევარი მასწავლებელი დაუცხრომ-
ლად მუშაობს ბავშვთა აღზრდა-განათლები-
სათვის.

საბჭოთა ბავშვებისათვის შექმნილია ფარ-
თო ქსელი სკოლისგარეშე დაწესებულებები-
სა: პიონერთა სასახლეები და სახლები, ნორჩ
ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურები,
სპორტული სკოლები, საბავშვო თეატრები,
პარკები, სტადიონები, საბავშვო რკინიგზე-
ბი. ყოველ წელიწადს მილიონობით ბავშვი
ისვენებს პიონერთა ბანაკებში, სანატორი-
უმებში. ბავშვებისათვის გამოდის მრავალმი-
ლიონიანი ტირაჟით გაზეთები, ჟურნალები
და წიგნები.

ჩვენი ბავშვები ყველზე ბედნიერი ბავშვე-
ბია მსოფლიოში. სულ სხვა სურათია კაპი-
ტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში, სადაც
მშრომელთა შვილებს არა აქვთ სწავლის სა-
შუალება, ისინი განწირულნი არიან შიმში-
ლის, სიღატაკისა და ავადმყოფობისათვის.
მცირე ასაკიდანვე მათი ხვედრია მძიმე, აუ-
ტანელი შრომა, კაპიტალისტური ქვეყნების
მთავრობები (პირველ რიგში აშშ-ის, ინგლი-
სის, საფრანგეთისა და სხვ.) უდიდეს თან-

ხებს ხარჯავენ ახალი ომის მომზადებისათვის,
ხოლო ბავშვთა საჭიროებებს არაფერი აუყ-
რადლებას არ აქცევენ. აი რატომ უერთებენ
თავიანთ ხმას კაპიტალისტური და კოლონი-
ური ქვეყნების ბავშვები უფროსების ხმებს,
რომლებიც მოითხოვენ ცხოვრების პირობე-
ბის გაუმჯობესებას. ახალი ომისათვის მზა-
დების შეწყვეტას; უფროსებთან ერთად ბავ-
შვები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობი-
სათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორ-
განიზაციის 30 წლისთავს ახალი წარმატებე-
ბით აღნიშნავენ საბჭოთა საქართველოს პი-
ონერ-მოსწავლეები.

ჩვენს რესპუბლიკაში 400 ათასზე მეტი პი-
ონერია. ისინი იზრდებიან ბოლშევიკური
პარტიისა და დიდი ბელადის მშობლიური
მზრუნველობით. ქართველი პიონერები ცხოვ-
რობენ ბედნიერად და მხიარულად.

პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის
ზრუნვის საპასუხოდ საბჭოთა საქართველოს
პიონერები და მოსწავლეები შეუწყნებლად
იბრძვიან სწავლაში უკეთესი მაჩვენებლებისა-
თვის.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული
ორგანიზაციის 30 წლისთავი დამთხვა სა-
განათლებლო გამოცდებს სკოლაში. პიონე-
რები და მოსწავლეები არ ზოგავენ ძალასა
და ენერჯიას სასწავლო წლის წარმატებით
დამთავრებისათვის, რომ თავიანთი კარგი
სწავლით გაახარონ დიდი სამშობლო და
მშობლიური ბელადი დიდი სტალინი.

მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერებთან ერთად
საქართველოს პიონერები და მოსწავლეები
აღაფრთოვანა დიდი ბელადისა და მეგობრის
ი. ბ. სტალინის მისაღმებამ ნორჩი პიონე-
რებისა და მოსწავლეებისადმი ვ. ი. ლენინის
სახელობის პიონერული ორგანიზაციის 30
წლისთავთან დაკავშირებით. საბჭოთა კავში-
რის პიონერები მზად არიან დაუცხრომლად
იმუშაონ დიდი ბელადის მითითების შესას-
რულებლად, იცხოვრონ, ისწავლონ ლენინისე-
ბურად, სტალინისებურად.



ირაკლი აბაშიძე

მხატვარი ალ. ვეფხვაძე

გ ა მ ო ც დ ე ბ ი

განა გავტეხ დაპირებას,
ან ტოლებში გამოვწყდები?!
ცხრაჯერ იყოს გამოცდები...
ათჯერ იყოს გამოცდები.


განა მშობლებს ეულალატებ,
ან მამულს და დიად დროსა?!
სექტემბრიდან მაისამდე
მივგვრიალებ ფრიადოსნად.

ვინც კაცია. ვინაც ვარგა
მას „ხუთებიც“ უნდა წაჰყვეს,
თუ სამშობლოს შეიღებები ვართ,
თუ დავეძებთ გმირთა სახელს.

ნეტა კიდეც სხვა გმირობაც
მეკისრნა და შემძლებოდა
ასიც გეთქვათ დაბრკოლება, —
ფერიც კი არ შეცვლებოდა.

მეგობრებო, ნუ გაოცებთ
ჩემი ასე ამაყობა,
ხეილ, ზეგ ვნახოთ...
ლღეს კი ამ ლექსს
არ დამირქვათ ტრაბახობა.

განა გავტეხ დაპირებას,
ან ტოლებში გამოვწყდები?!
ათჯერ იყოს გამოცდები...
ასჯერ იყოს გამოცდები.



ივანე ურჯუაშვილი

მხატვარი კ. მახარაძე

ბავშვთა მეგობრობის კერა


ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ყოველდღე ასობით ადამიანი ჩამოდის გორში, რათა იხილონ საყვარელი ბელადის კერა. მნახველთა საგრძნობ ნაწილს მოსწავლე ახალგაზრდობა შეადგენს.

ჩვენ, საბჭოთა პიონერები, ვამაყობთ, რომ ბელნიერი ცხოვრება გვაქვს. ჩვენ გვიყვარს ამ ცხოვრების დიდი შემოქმედი დიდი სტალინი. ამიტომ იყო, რომ აღტაცებას ვერ ვფარავდით ბელადის სახლის დათვალიერების დროს. აქ, სტალინის სახლთან, დავიფიცეთ ჩვენ, უფრო კარგად ვისწავლით და გავხდეთ ღირსეული სტალინელები“.

ბელადის სახლის სანახავად მოდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსწავლეებიც.

არასოდეს დავიწყდებით გორელ პიონერებს ის დღე, როცა სტალინის სახლი ინა-

ხულა პიონერაზნეულის ხელმძღვანელთა ჯგუფმა ჩინეთიდან. დიდხანს, დიდხანს ათვალღერეს თავისუფალი ჩინეთის ბელნიერმა ქაბუჯეშმა და ქალიშვილებმა ბელადის სახლი, უნდოდათ ხელით შეხებოდნენ თითოეულ ნივთს, ყველაფერი ღრმად აღებეჭდათ გონებაში და შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებისას, დაწვრილებით ეამბნათ ჩინელი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ყოველივე ის, რაც აქ, სტალინის სახლ-მუზეუმში ნახეს. უსაზღვრო იყო გორელი პიონერების სიხარული, როცა ჩინელმა სტუმრებმა სტალინის სახლთან „დილა“ იმღერეს. ჩინელებთან ერთად მღეროდნენ გორელი პიონერებიც. ჩინური და ქართული სიმღერის შეწყობილი ჰანგები მოალერსე ნიავივით ეფინებოდა კარ-მიდამოს... გაჩაღდა ცეკვა. ერთდროულად ცეკვავდა რამდენიმე წყვილი: ჩინელი ქაბუჯი და ქართველი ქალიშვილი, ქართველი ქაბუჯი და ჩინელი ქალიშვილი...



გამომწვიდობებისას სტუმრებმა ჩინეთიდან ჩამოტანილი დიდი სტალინის პორტრეტი გადასცეს გორელ მოსწავლეებს და შეპირდნენ, რომ შემდეგშიაც იმეგობრებენ მითთან.

ან რა დაეიწყებინა გორელ პიონერებს გმირონი კორეელი ხალხის სახელოვანი ქალიშვილის პაკ დენ აის ჩამოსვლას...

1-ლი ქალთა საშუალო სკოლის III კლასის პიონერები ბელადის სახლთან რგოლის შეკრებას ატარებდნენ. სესილ ხუციშვილი თავის მეგობრებს მოუთხოვდა კორეელი ახალგაზრდა გეომეტრების შესახებ. ამ დროს ბელადის სახლ-მუზეუმის ეზოში შევიდა საშუალო ტანის, მაგრამ ჯანმრთელი აგებულების შუახნის ქალი, რომელსაც კორეული ნაციონალური ტანსაცმელი ეცვა.

— პაკ—დენ აი! — აღტაცებით წამოიძახა ნანა კავლიშვილმა და სტალინის სახლის წინ შეჩერებულ ქალისაკენ გაიქცა. მეგობრები უკან გამოედევნენ ნანას. პაკ დენ აიმ მკრძალში ჩაიკრა ვახარებული ბავშვები, მშობლიური მზრუნველობით მიუაღერსა მათ. გორელმა მოსწავლეებმა პიონერული ყელსახვევები გადასცეს პაკ დენ აის და სთხოვეს, რომ სამშობლოში დაბრუნებისას გმირონი კორეელი ბავშვებისათვის გადაეცა ის საჩუქრად გორელი პიონერებისაგან.

— შეეასრულებ თქვენს თხოვნას, ძვირფასო ბავშვებო, — მიუგო პიონერებს პაკ დენ აიმ. — ამ ყელსახვევებს საწიფო ვითარებაში

გადაეცემ მამაც კორეელ ბავშვებს, რომლებიც დღეებთან ერთად გმირულად იბრძვიან ამერიკელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

გორელ პიონერებს ერთი კარგი ტრადიცია აქვთ: ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას და გამოცდების წინა დღეებში პიონერული რგოლები, რაზმები, მთელი რაზმეულები კოლექტიურად მიდიან სტალინის სახლთან.

დიდი ზემოთ აღნიშნეს გორელმა პიონერებმა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ოცდაათი წლისთავი. ლარით ვაჭიმულ სტალინის პროსპექტზე მწყობრი ნაბიჯით მიიბიჯებდნენ სახეგაბრწყინებული, წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები. ისინი მისწრაფოდნენ ბელადის სახლისაკენ. აქ, ამ სახლთან, ხაზზე დადგა გორის პიონერული ორგანიზაცია. რაზმეულებმა უპატაკეს თავიანთი მზადყოფნა. დაიწყო შეკრება. სიტყვით გამოსული პიონერები დიდ მადლობას უხდოდნენ საყვარელ სტალინს ბედნიერი ბავშვობისათვის, პირობას სდებდნენ, რომ გულმოდგინედ ისწავლიან, ყოველმხრივ სამაგალითონ იქნებიან. ისინიც კი, ვისაც სიტყვა არ წარმოუთქვამთ, მთელი გულით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობდნენ:

— ვფიცავთ, ნათელო სახლო, რომ ვიქნებით ღირსეული ლენინელები, ღირსეული სტალინელები.

კოცონი გორის ციხესთან

ვარსკვლავებმა ციდან გადმოიხედეს, მიწის შუქმა უმალ მოსურათ თვალები, — ვარსკვლავები სხედან გორის ციხეზეც და ჩახჩახებს მშობლიური მთა-ველი.

ციხის ახლოს ცეცხლის ალი ავარდა, გაჩირადდნენ ბედნიერი სახენი და სიმღერამ შორს, შორს გაინავარდა სიცოცხლის და სიხარულის სახელოთ.

— ვიყოთ მუდამ მტკიცე ლენინელები, — სამშობლოს და სტალინს ვესახელებით... მოვიზვიზე კოცონს პიონერები შემოუსხდნენ წითელ ყელსახვევებით.

დღეს მათ ძველი ბოლშევიკი ეწვიათ ცარიცინშიც რომ ყოფილა სტალინთან, ზის ბავშვებში, თვალციმციმა მზეწვიებს შვენი მუხა გოლიათი ტანითა.

— ო, შიშს გულთან როგორ მივიკარებდი? — ჩვენთან იყო საყვარელი სტალინი, ჩავუკეტეთ მტერს გზა რკინის კარებით, წინ წავიღეთ დროშა ცადატანილი... დღევით უცემთ პიონერებს გულელები და უსენენ მას სულგანაბულები, კოცონი კი ეღვარებს და გიზგიზებს ვით სიცოცხლე, სიხარული ჟღერვი.

თიშირაპა ჯანაშვილი



კონსტრუქტორი

მ ო თ ხ რ ო ვ ა

1.

სოფლის მალაზიის ვიტრინაში კონსტრუქტორები გამოფინეს. ბევრი კონსტრუქტორი უნახავს დათიკოს, მაგრამ ასეთი კონსტა და ლამაზი არასოდეს. კონსტრუქტორის ნაწილები ისე კონსტად იყო გაკეთებული, ისე ლამაზად შედგებოდა, რომ დათიკომ დიდხანს ვერ მოაშორა თვალი. ფული რომ ჰქონდეს, ახლავე იყიდდა. მაგრამ სად იშოვოს ამდენი ფული? გამეგე კონსტრუქტორის კოლოფს ქალაქი მიაკრა. ქალაქზე ეწერა „71 მან“.

დაღონდა დათიკო. იცოდა, დედა ფულს არ მისცემდა. ისიც იცოდა, რომ მისი ამხანაგი ვალიკო უშეშველად იყიდდა კონსტრუქტორს. ვალიკოს ყოველთვის ჰქონდა ფული და ხშირად ყიდულობდა ხან—კამფეტს, ხან ხალვას, ხან საღებავებს, ხან ბურთს. მოიტანდა სკოლაში და თავი მოჰქონდა: აი, რა მიქვსო!

მართლაც, დათიკო ჯერჯისევ ვიტრინასთან



იდგა, როცა ვალიკომ ჩამოიარა, როგორც კი დინახა კონსტრუქტორი, ვიყიდო თქვა.

გაქვს ამდენი ფული?—გაუბედავად ჰკითხა დათიკომ.

— ყულაბაში მაქვს შეგროვილი, —უბასუხა ვალიკომ. —დედა, მამა, ბიძები, ბიცოლები, სტუმრები მაჩუქებენ ხოლმე. წავალ ახლავე, გავსენი ყულაბას და ვიყიდი.

მართლაც, ვალიკომ ჩქარა მოიტანა ფული.

— წამოდი, დათიკო! ავაწყუთ მანქანა! —უთხრა ვალიკომ დათიკოს.

ვალიკოს ეზოში ჩქარა მოიყარეს თავი ბავშვებმა. ყველას აინტერესებდა: გაივილიდა თუ არა ტრაქტორი ეზოში?

სკოლაში, ნორჩ ტექნიკოსთა წრეში რამდენიმე კონსტრუქტორი ჰქონდათ და ბავშვებმა იცოდნენ სხვადასხვა მანქანის აწყობა. მაგრამ ტრაქტორის აწყობა ყველაზე უკეთესად დათიკომ იცოდა. ტრაქტორისტიკის შვილი იყო და სანამ მამა ცოცხალი ყავდა, ხშირად დაყვებოდა ხან სახელოსნოში, ხან მინდორში, აკვირდებოდა, სწავლობდა ტრაქტორს, ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ, როცა დათიკომ ტრაქტორი ააწყო და მიუშვა:

— ამუშავდა! ამუშავდა! —დაიყვირეს ბავშვებმა.

— დღეს ხუთ ჰექტარს მოხნავს! —თქვა ერთმა

— თუ შეჯიბრებაშია მეტიც უნდა მოხნას, —დაუმატა მეორემ.

— მთავარია ხარისხი! —განმარტა მესამემ. —კვლის სიღრმე თვარამეტ სანტიმეტრზე ნაკლები არ შეიძლება. ზოგან ოცდახუთიც საჭიროა.

— კარგი ტრაქტორი დიდი ძალაა. ეს კი ჩვენზეა დამოკიდებული, —დინჯათ დაასკვნა დათიკომ მამისგან გაგონილი სიტყვებით. —ამ ტრაქტორს დაწყებითი აჩქარება კარგი აქვს, ანახოთ როგორი ექნება დამატებითი აჩქარება. ასე მსჯელობდნენ ყმაწვილები. ყოველი მათგანი ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა

ტრაქტორზე. როცა ტრაქტორი გაჩერდა, მიცვიფრედი, დაშალეს ისევ ააწყეს, ისევ გაუშვეს. ტრაქტორი მიდიოდა მსუბუქად, გაცდა შავს ხოჭოს და მხიარულად ბზინავდა მზეზე.

დიდხანს ატრიალეს ბავშვებმა ტრაქტორი. დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა შინ დათიკო. მაგრამ რა წამს ეზოში შემოვიდა, გული დაწყდა. რა იქნებოდა დათოსაც ჰქონდეს ტრაქტორი და გაატაროს ეზოში? ბევრი იფიქრა, ვერაფერი მოისაზრა დათიკომ. თხოვოს დედას? ამაოდ ჩაუფლის თხოვნა. განა მართო უარს ეტყოდა დედა, დარიგებასაც დაუწყებდა: ქვრივი ვარო, იჯახს ძლივს ვარჩენო. შენ ობოლი ხარო. განა პატარა ხარო? შეგნება უნდა გქონდესო, რომ თორმეტი წლის კაცმა დედას ტვირთი შეუმსუბუქოყო. შენ კი სათამაშოებზე ფიქრობო... დიახ, სწორედ ასე ეტყოდა დედა.

ბების თხოვოს? ბებისას პასუხიც წინასწარ იცის დათიკომ:

— კი, ბების ჭირიმე! გიყვიდი როცა მექნება, ახლა კი სადა მაქვს სათამაშოსთვის გადასაყვრელი ფული? შეშა დაჩეხე ბების ჭირიმე?...

ბიძის თხოვოს? საოცარი კაცია ბიძა. წელიწადში ერთხელ წუღებსა და ტანისამოსს უყვრდა, რვეულებსაც ხშირად მოუტანდა, მაგრამ კამიკი ფული არასოდეს მიუცია. თხოვოს და უარი უთხრას ბიძამ? დათიკო თავმოყვარე ბიჭი იყო და ბიძის უარი გულს ატკენდა. ბევრი იფიქრა დათიკომ, ვერაფერი გადაწყვიტა. ბედზე სწორედ იმ საღამოს შემოიარა ბიძამ, დედასა და ბეზის გავებურა, დათიკოს თავზე ხელი გადაუსვა. კარგ გუნებაზე იყო ბიძია, წელს კარგ მოსავალს მოველითო. ვახშამზე დათიკომ დრო იხელთა და ბიძის გასაკონად თქვა: მაღაზიაში კონსტრუქტორები მოიტანეს და ვალიკომ იყიდა ყულაბაში შეგროვილი ფულითო.

— უსარგებლო თხოვნით თავი არასოდეს დაიმცრო, ბიძიკო!— შეიკრა წარბი ბიძამ.— ყოველთვის საკუთარი შრომის და საკუთარი ძაღლონის იმედი გქონდეს. სხვისი ხელის შემეყურე ნუ იქნები, თვითონ გააკეთე, თუ კი შეგიძლია. ყულაბით ფულის შეგროვება რა საკადრისია?

წასვლის წინ კი ბიძამ ირიბად გადახედა დათიკოს და უთხრა პლანტაციასი გამოშობი რეო.



დიდხანს ფიქრობდა დათიკო, თუ რატომ დაიბარა ბიძამ პლანტაციასი. უყვიდის ვითომ ტრაქტორს? უყვიდის? მეორედ მისცა ეს შეკითხვა დათიკომ თავის თავს და ჩაეძინა. სიზმარში კონსტრუქტორი ნახა. ის იდო სკამზე, დათიკოს სასთუმალთან. დათიკო გამოვიდა. კონსტრუქტორი ტრაქტორად იქცა. დათიკო ტრაქტორისტად იქცა და საჭეს ჩასჭიდა ხელი. ტრაქტორი ავტომობილად იქცა, დათიკო შოფრად იქცა და მივარდა კაბანას. ავტომობილი თვითმფრინავად იქცა და დაატრიალა ბრომელერი. დათიკო ბილოტად იქცა და უნდოდ გაეჩერებინა თვითმფრინავი. მაგრამ თვითმფრინავმა მოასწრო აფრენა და გაინავარდა ჰაერში. გულდაწყვეტილი დათიკო დიდხანს უყურებდა, თუ როგორ მიიშალა ლევა დრუბლებში ცისფერი თვითმფრინავი.

2.

კიტრუსების საბჭოთა მეურნეობა არც ისე შორს იყო სოფლიდან. სულ რაღაც ორიოდ კილომეტრის მანძილზე. სანამ შარავაზე გავიდოდა დათიკომ აუარ-ჩამოუარა ვიტრინას, შეხედა კონსტრუქტორს და კარგი ამხანაგით გაუღიმა. სტვენით და აჩქარებით მიდიოდა დათიკო, თან ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: რატომ დაიბარა ბიძამ? ვითომ ფულს

მისცემს? არ მისცემს, რასაკვირველია! აბა რატომ უთხრა გამომიარეო?.. რა იქნება რომ კონსტრუქტორი უყიდოს? ბოლოს და ბოლოს დათიკო მეექვსე კლასში გადავიდა ამ წელს და რა მოხდება ბიძამ რომ გაახაროს? ამ ფიტრებში გზაც ჩქარა მოილია და დათიკო მეორეოთხის ტიშკარს მიადგა. დარაჯმა იცნო და მაშინვე შეუშვა მეურნეობაში. ბიძაშენი მინერალური სასუქის საწყობშიაო. თან დაუმატა:

— ახლა მეორედ შეგვაქვს აზოტი პლანტაციას. ხო... ხო... რა მოსავალი გექნება წელს, ჩემო ბატონო!

დარაჯს უყვარდა ბევრი ლაპარაკი და სიტყვაში „ჩემო ბატონო“ ჩართვა. სულ ერთია ვის ეუბნება დიდს თუ ბატარას, კაცს თუ პირუტყვს.

— ბიძაშენი, ჩემო ბატონო, კარგი სპეციალისტია, კარგი აგრონომია...

მაგრამ დათიკო უკვე ყურს არ უგდებდა დარაჯს. აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა საწყობისაკენ. საწყობში ბიძა არ დახვდა. დათიკომ იკითხა, თუ სად წავიდა ბიძა. არ ვიცითო, უბასუხეს. დათიკო სახტად დარჩა. გამოვიდა ხეივანში. მიყურდნო კვიპაროსს და გადახედა პლანტაციას. წყნარი, ცხელი დღე იყო. უძრავად იდგნენ ქოჩორა მწვანე ხეები. ზოგს ტოტები განზე გაუშვებია, ზოგს დაბლა დაუხრია, ზოგს თეთრი ხსნარი ჰქონდა წასმული შტამბზე, თითქოს თეთრი წინდები ჩაუცვიათო. ხეებზე უხვად იყო დასხმული კაკლის ოდენა ნაყოფი, მუქიმწვანე ფერისა.

— ერთი-ორი თვე და ეს ბატარა ნაყოფი როგორ გაიზრდება!— გაიფიქრა დათიკომ.— დამწიფდება და ოქროსფერს დაიკრავს. აი, მაშინ უნდა მოვიდეს აქ კაცი!..

შივა და შივ კვლებში ქალები და გოგო-ბიჭები დადიოდნენ, ხელში საწყავი ჭურჭელი ეჭირათ და ხეების ძირას სასუქს აყრიდნენ. დათიკოს აღრევაც უნახავს ეს სამუშაო. მან იცოდა, რომ სწორედ ივნის-ივლისში შეაქვთ პლანტაციაში მინერალური სასუქი. რომ სასუქით იკვებება ლიმონ-მანდარინის ხეები. მან ისიც იცოდა,

რომ სასუქის შეტანა დამდღეელი არაა. ჭურჭელში სულ ნახევარი კილონ სასუქია. იოლია მისი მომარჯვება, როლნდ ეს კიო ყურადღებას მოითხოვს და დაკვირვებას. საწყავი ჭურჭლიდან სასუქი თანაბრად უნდა მოაყარო ხის ძირის გარშემო. გარდა ამისა თუ ხე დაბალა და ახალგაზრდა, ისე უნდა შეხვიდე მის ტოტებ ქვეშ, რომ ტოტს არ შეეხოს, რადგან საშიშია. ტოტი მყიფეა და გატყდება. ასეთ დაბალ ხეებთან სწორედ ბავშვები მუშაობდნენ, მათ არ სჭირდებოდათ დახრა.

— დათიკო მოვიდა! დათიკო!— გადასახეს ბიჭებმა ერთმანეთს.— მოდი! მოდი! ხეები გიცდნან! საწყავი ჭურჭელი არა გაქვს? გაიქცე საწყობში, მოგცემენ! დაგვეხმარე! დაგვეხმარე!..

ცა იყო ისეთი ლურჯი, მზეზე ისე ბზინავდა ბატარა ციტრუსები, ისე გულმხიარულად მუშაობდნენ გოგო-ბიჭები და ხეივნის პირი ისე ლამაზად მოექარვა ბაიების არშობას, რომ გახალისებული დათიკო საწყობში გაეშურა საწყავი ჭურჭლის მოსატანად.

სალამომდე იმუშავა დათიკომ. საღამოს ბრიგადირმა ჩაიწერა ვინ მუშაობდა და რა გააკეთა. დათიკო რომ დანიხა ჰკითხა: რომელ რგოლში ხარო?

— მე? რა ვიცი,— დაიბნა დათიკო.— მე ისე ვეხმარები.

— როგორ თუ რა იცი? ჩვენში შრომა არც უგვემოა და არც უფასო. ჩაგრცხვავ მოწაფეთა რგოლში და იმუშავე. შენი დახმარებაც ეს იქნება...

ორი კვირა იმუშავა დათიკომ პლანტაციაში. დილით, პლანტაციაში რომ მოდიოდა და საღამოთი, პლანტაციიდან რომ ბრუნდებოდა, მაღაზიას ჩაუვლიდა. ვიტრინაში ისევ-ისევ იდო კონსტრუქტორი.

ამ ორი კვირის განმავლობაში ბიძა ხშირად შეხედებოდა, გაუღიმებდა, შეაქებდა. დათიკოს უხაროდა, თან უკვირდა, რომ მუდამ თავდაჭერილ ბიძას ასე ეღიმებოდა მისი დანახვისას. ერთ დღეს კი ბიძამ უთხრა კანტორაში წამოდი, ფული მიიღეო, დათიკოს გა-





ეხარდა, თან გაიფიქრა: რამდენს მისცემენ? მისცემენ იმდენს, რომ იყიდის კონსტრუქტორს?

კანტორაში რომ მივიდა სალაროსთან უკვე ჩამწკრივებულიყვნენ მუშები. დათიკო ჩადგარ იგში. როცა მისი გვარს გამოიძახეს, დათიკო მიადგა კედელში ჩაჭრილ პატარა ფანჯარას, ვერ შესწვდა. მაშინ ბიძამ კუნძი მოურბენინა. დათიკო შედგა და შეისხედა ოთახში. ოთახში ერთი ქალი იჯდა და მაგიდაზე ბევრი ფული ელაგა.

— მოაწერეთ ხელი, — უთხრა ქალმა დათიკოს და უწყისი გაუწოდა.

— ალბათ არ იცის რომ კუნძზე ვდგავარ და იმიტომ მელაპარაკება თქვენზე. — გაიცინა გულში დათიკომ. — დიდი ვგონივარ.

დათიკო დააკვირდა თუ როგორ მოუწერიათ სხვებს ხელი და თავის გვარს გრძელი კუდი გამოაბა. სკოლაში კი თავის გვარს ასო-ასო წერდა.

— დაითვალეთ რამდენია, — უთხრა მოღარე ქალმა დათიკოს და ფულის კონა გაუწოდა. დათიკომ დათვალა და ტანში ჭრუნატიელმა დაუარა: ეყოფა, იყიდის კონსტრუქტორს. ფული უბეში ჩაილაგა, კუნძიდან ჩამოსტა და მიიხედ-მოიხედა. ეგონა, რომ ყველანი მას უყურებდნენ. მაგრამ მას არავინ უყურებდა. მხოლოდ ბიძა მივიდა, ღიმილით გადაუსვა ხელი და უთხრა:

— მომილოცავს პირველი ხელფასი! ჩვენმა დირექტორმა დამავალა მადლობა გითხრა დანმარებისთვის. ახლა რას იზამ ამ ფულით?

— კონსტრუქტორს ვიყიდი, ბიძია!

— ჰო... ჰო... გაიარე მაღაზიაში, და წაიღე კონსტრუქტორი, — გაიღიმა ბიძამ.

დათიკო ტყვიასავით გაეჭანა სოფლისკენ. მივარდა მაღაზიას და ელდა ეცა. ვიტრინაში კონსტრუქტორი აღარ იყო. იდგა ერთ ხანს გაშეშებული, სულს ძლივს ითქვამდა. ბოლოს გადაწყვიტა შესულიყო მაღაზიაში: ეგებ მეორე ისეთი კონსტრუქტორი ჰქონოდა გამგეს?

— მოზრძანდი, მოზრძანდი! — შეეგება გამგე მხიარულის სახით. — რას ინებებ?

— მე კონსტრუქტორი მინდა, — უბასუხა დათიკომ, თვალი მიმოავლო მაღაზიას და კინაღამ შეჰყვირა: მისი მოწონებული კონსტრუქტორი დახლის თავზე იდო.

— ჰოო,.. ინებეთ, დათიკო! — ისევ ისე მხიარულად უთხრა გამგემ.

— რამდენი უნდა? — ჰკითხა დათიკომ და ხელი უბისკენ წაიღო.

— ფული გადახდილია!

— გადახდილია? — გაუკვირდა დათიკოს.

— დიახ, ბიძამენმა გადაიხადა და მითხრა დათიკო მოვა და წაიღებო. ჰო და ინებე!

დათიკომ დინჯად გამოართვა კონსტრუქტორი და გამოვიდა მაღაზიიდან. ახლა მიხვდა, თუ რატომ იღიმებოდა ბიძამისი...





ნატვრა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჩვენი ოჯახიდან ყველა მუშაობს. მამა მწვრთნელია, დედა მეტაბელე. გერონტი, ჩემი უფროსი ძმა, წყალსაქარში მუშაობს. მხოლოდ მე ვსწავლობ, მესამეში გადავედი.

დედას უნდა, რომ მასწავლებელი გამოვიდე. მამა ჯერ არაფერს არ ამბობს. მოიცათ, გაიზარდოს და მერე ვილაპარაკოთ. მე ხანატობა მაინტერესებს.

მექანიკური სახელოსნო აქვს, ჩვენს პირდაპირაა. რანაირი ჩარხი არა დგას შიგ! სარანდავი, მღარავი, რევოლვერული. მაგრამ მე ყველას სახანატო მირჩევნია. უფრო ცოცხალია... არა, ცოცხალი როგორ იქნება; უფრო მიმზიდველია. მიტოს, აი ჩვენი მეზობელი რომ არის, თმა უკან, რომ აქვს გადავარცხნილი, სულ დიდებში რომ დადის, თავის ჩარხი «გაწვრთნილი» ყავს. ეტყვის—«აბა, იმდერე!» და ჩარხიც შემოსძახებს.

— იაო, იაო, იაო!..

— დაუსტვინე!—და დაუსტვენს.


მე ახლოს არ მიშვებს. მხოლოდ ერთხელ მახლებინა ხელი, ისიც იმიტომ, რომ ორი ვაშლი მივეცი. თითონ ხომ ყუთი უდევს ფეხქვეშ, კიდევ ერთი ყუთი დამიდო, ზედ შემაყენა და ლამაზი, სახელურიანი ზორბალი და მარბუნებინა. სამჯერ არც კი მექნებოდა გადაბრუნებული რომ ჩამომაგდო. გეყოფაო. მეორედ ოთხი ვაშლი მივეტანე, იქნებ მეტხანს გამაჩეროს მეტეი. ვაშლები კი გამომართვა, მაგრამ ჩარხს არ მიმაკარა. დაპირებით გამომისტუმრა—ხვალ თითონ შენ ავაშუშევიბინებო.

მეორე დღეს ის იყო სახელოსნოს კარი შევადე, რომ დამინახა კიდევ.

— ვერ წაიკითხე რა წერია კარებზე.—გადმომძახა განგებ დაბოხებული ხმით.—ახლა კი გარეთ გადი, თორემ ოსტატი დაგინახავს და...

ხელის გულს შეუბერა. ერთი სიტყვით, დაგიფრენსო.

მე გამოვედი. შევხედე კარს და ახლა და შევაჩინე ქიმიური ფანქრით საგულდაგულოდ



მნატვარი ვლ. ტორიძემ

წარწერილი: «სახელოსნოში უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია». მიტოს ხელი ვიცანი. როგორ არ ვიცნობდი! განა ასე არ წერს ხოლმე თავის სახელს კედლებზე და ფიცრის ღობეებზე! ერთგან ჭერშიც კი უწერია «მიტო ქორ»... ე. ი. ქორიძე.

იმ დღიდან წყალსაქარში დავიწყე სიარული. პირველად გერონტიმაც თავი გამოიღო. არც ის მიშვებდა. მასაც უწერია კარებზე: «უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია». მაგრამ, რომ დავპირდი სადაც მეტყვი ყველგან გატეგავანები მეტეი, შემიშვა. მაგრამ არა იმ ოთახში სადაც ტუმბო და ძრავი დგას, არამედ წინაში, ტახტი რომ არის გამართული, ძველი შლანგები და ხრუტუნები რომ ყრია.

ერთ ორ დღეს არაფერი არ დასჭირებია: არც ძენი, არც ზეთი, არც სოლიდოლი. მხოლოდ აუზზე მაგზავნიდა ხოლმე—გასაგებად, სავსე იყო, თუ არა. ზოლოს, როგორც იყო, დამიწერა მოთხოვნა: «გთხოვთ მისცეთ № 1 წყალსაქარის საჭიროებისათვის ძენი 0,5 კგრ. სოლიდოლი 1 (ერთი) კგრ». დამარიგა:

— ჯერ სახელოსნოს უფროსს, ძია ვანოს, მოაწერინებ ხელს, მერე საწყობში მიხვალ,

სტეფანესთან, აგიწონის და წამოხვალ, მხოლოდ ჩქარა შენებურად არსად არ გაეპა.

სათლი გამოგართვი და გავიქეცი.

არსად არ გაგჩერებულვარ. არც შადრევანთან, სადაც ჩვეულებრივად, წყალს ვაწვავლებდი ხოლმე. არც ქვასამტვრევთან, არც ბულდოზერთან. წარწერისათვის, რომელმაც ფეხი ამომაკვეთინა სახელოსნოდან, ყურადღება აღარ მიმიქცევია; გაბედულად შევალე კარი და მიტოს ჩარხისკენ გავემართე. მიტო საქმით იყო გართული. ვერ დამინახა. მინდოდა კი, რომ დავენახე. ახლაც ხომ ვერ გამაგლებდა. საქმე მქონდა, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, ერთსელაყ არ მოუხდია. ბოლოს, რკინის პატარა ნაჭერმა მიშველა. იგი მიტომ გამოისროლა ხელუკუღმა და ჩემს სათლს მორატყა. სათლი, რკინამ ხომ ააქლარუნა, მე უარესად ავანამურე—მუხლი მივარტყი. მაშინ მოხიდა. რა თქმა უნდა იმავე წაშს მიცნო და ბრაზმორეული ხმით მკითხა:

— შენ კიდევ აქა ხარ?!

— საქმე მაქვს.—ამაყად მიუუღე მე.

— რა საქმე?

— ძია ვანო მინდა. მოთხოვნაზე ხელი უნდა მოვაწერინო.

— მერე ჯიბეში ხომ არა მყავს ის შენი ძია ვანო. მე რას, მომჩერებინარ! აგერ კანტორა, მიდი და მოაწერინე.

არ მეგონა ასე თუ მიპასუხებდა. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი ჩარხს, რომელიც «იარე, იარეს!» გაიძახოდა და გავბრუნდი.

ახლად გამახსენდა გერონტი რომ მელოდებოდა. ფათა-ფუთით ავიღე ყველაფერი. მაგრამ წყალსაქაწში პირდაპირ მაინც არ წაესულვარ. სახელოსნოში გავიარე—ისე, გზად.

ამჯერად მიტომ შორიდანვე შემნიშნა და დამბღვირა. მაგრამ რომ მიუუახლოვდი, სახე შეეცვალა, გამიღიმა.

— მოიცა.—დამიძახა წყნარად.

მე გაეჩერდი.

— დადექი აქ და თვალი დაიჭირე ჩარხზე. ხელი არავინ არ ახლოს. მე ერთ წუთში მოვალ, კანტორაში შევიბრუნე.—უკანასკნელი სიტყვა თითქმის კანტორის კარებთან წარმოთქვა.

მე კიდევ ერთხელ გამახსენდა, რომ გერონტი მელოდებოდა. მაგრამ ხმა არ ამომიღია. სათლი ძირს დავდგი და ჩარხს მიუუახლოვდი,

ჩარხის მასრა წელა, სულ წელა ბრუნავდა.

ბრუნავდა მასში გამაგრებული ფოლადის დერეფანი. საჭრისი შეუმჩნეველად მიიწედა წინ და ცისფერი ბურბუშელა ცახცახით წვეგოდა რკინის გოპში. კარგად დავაკვირდი და შევამჩნიე, რომ ის ლამაზი, სახელურიანი ბორბალი, რომელზედაც ამასწინათ თვითონ მიტომ მომაკიდებინა ხელი, თავისთავად ბრუნავდა.

უფრო ახლოს მივედი.

«რა იქნება რომ ამ სახელურიანი ბორბლის ბრუნვას ავაყოლო ხელი? რა იქნება? არაფერიც არ იქნება». ფრთხილად შევეხე. თან უკან ვიხედებოდი ემანდ მიტო არ მოდიოდეს მეთქი. ბორბალი ხუთჯერ მაინც გადაბრუნდა და არაფერი არ მოხდა. «ცოტას რომ ავაჩქარებდე! ამა ეს ბერეკტი ჩამოვწიო!». ღონივრად დავაწვიე და, მართლაც, იმავე წაშში შეიცვალა საჭრისმა ხმა. «აბა ცოტაც... ამის თქმა ვერც კი მოვასწარი და რაღაცამ ლაწანი მოილო, რაღაც აქლრილდა. რაღაც აფართხალდა... მივიხედ-მივიხედე. ყველა თავ-თავის საქმით იყო გართული. სათლს ხელი დავავლე და მთელი ძაღლიონთ მივკურცხლე წყალსაქაჩისაკენ.

გერონტიმ შემატყო, აღევლბული რომ ვიყავი. რაღაცას გააფუჭებდით. მე უარზე დავდექი. მაშინ დავგინებნა მომიზიგუნა და გამომაკლო.

— აქ აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა, გაიცი!—მომძახოდა უკან.

...ახლა აღარც სახელოსნოში შემიძლია შესვლა (მიტო მეშუქებდა. თურმე ყველაზე უკეთესი საჭრისი გაუტეხე) აღარც გერონტი მიშვებს წყალსაქაწში. დავდივარ ასე. ხანდახან სამჭედლოში თუ შევალ. მაგრამ მჭედლობა დიდად არ მაინტერესებს.

ამბოზენ ისეთი სკოლებიც არის, სადაც ხარატობას ასწავლიანო. მაგრამ იქ რომ მივიღონ მეექვსე კლასში მაინც უნდა იყო. მე კი მესამეში გადავედი.

ნეტავ ჩქარა მაინც გათავდებოდეს ეს არადეგემო! სამ წელიწადსაც მოვიტომენ. გადავალ მეექვსეში და უთუოდ იმ სკოლაში შევალ ხარატობას რომ ასწავლიან. ზოგი მაშინ იმედიდუროს მიტომ! მასაც ხომ მხოლოდ ის სკოლა აქვს დამთავრებული და მეტი არაფერი. ეს, ნეტავ მალე დაიწყებოდაც სწავლა!



მუხრან მაჭუპარიანი

მხატვარი ალ. ვეფხვაძე

ა უ რ ი კ უ ლ ი ა მ ბ ა ვ ი

შუაღღე, მზე დაბურებს მიწას ხარბად.
ევკალიპტის ჩრდილში იღბენს ნორჩი პალმა.
ჩრდილს დეიძებს, თვალს აციცებებს ევკალიპტი,
აქ ძვირია ცვარი, როგორც მარჯალიტი.
ეს ნამია ოცნება ამ ცბელი მიწის,
გამბურულა აქაური ხალხი სიცხით.

მოაბიჯებს სპილო, მძიმედ... მძიმედ... მძიმედ...
შავი ზანგის ბიჭი, ვით მაყვალი მწიფე,
მოქცევია ქელზე უზარმაზარ სპილოს...
ღეღავს...

ღეღავს სივრცე...
სივრცე უნაპირო...
„—უბი თეთრი კაცებო! გხიბლავთ მერცხლის სიწვეი;
გაიძახით მერცხალზე:—რა ლამაზი ჩიტია!
ჩვენ რატომღა გვიწუნებთ! განა რა დაგიშავეთ!“
გაიძღვრის გზადგაზა ზანგის ბიჭი ტიტინა.

ასე მღერის პაწია და ფრთებს ნატრობს მერცხლისას;
გეგონება:—ნამდვილად იაღონი მღერისო!
გარეთ იწევს კუდრაბა მერცხლის ბარტყი კვერცხიდან:
—„ღამაძახეთ მნატრელი დედაჩემის ფრთებისო!“

მიიმღერის პატარა... უკვე პალმებს გასცილდა.
(მიამუნი პალმაზე ბტოდა, როგორც კალია)
მერცხალივით თეთრი პუქს გული ზანგის ყმაწვილსა,
მერცხალივით გულითეთრი, მერცხალივით შავია.
— გამარჯობა მერცხალაო!—მიესალმენ პატარას.
— იცოცხლეო ბატონო!—უთხრა ბიჭმა მართალმა;

უთხრა ბიჭმა, თან ფიქრობს:—რა კეთილი თეთრია,
ნეტა ყველა თეთრები ასეთები იყვნენ!
„კეთილი“ კი: (ყმაწვილია, ვინც მონათლა კეთილად),
ზანგის გასაბრკვებლად—
ფიქრობს:—თუ რა იღონოს!
— შენ პატარავ, თუ დრო გაქვს;
თუ ცოტა ხანს გვალაია,
თუ გინდოდა გაჩუქო პურის ფული ბძძია!
გამეგზავნე სოფელში, დამავადებ ძალიან,
მა, რას იტყვი ყმაწვილო... მგონი შენ შეგიძლია!

კი ბატონო, წავალო! თქვენ ისეთი მოწყალე,
თქვენ ისეთი მოწყალე და კეთილი ბრძანდებით;
რაც არ უნდა დამსაქმოთ;—რას მიქვია მოცლა მე,
თქვენ თუ მეტყვით:—ახლავ
კლდეზეც გადავვარდები!

— —

გუნდლებში მარადღე შეეარდა ბაღლი;
მრიალი ერთვის ქიკიკს;
უფრო მალდებდა მალალი სახლი,
რაც უფრო გარბის ბიჭი.

— ვიშ... რა კარგია თეთრი კაცო,
ფულს მომცემს ფეხის ქირად,
პურს კ ვეყიდი,—ღედას აცივებს,—
ვუფიდი ქინაქინას.

შაგრამ რა იცის პატარა ზანგმა;
სულ სხვას ფიქრობენ თეთრნი;
რა იცის...
თეთრმა რატომ დასაქმა
ბიჭი—იმედი დედის.

— : —


შუაგულ ტუემში, სადაც ღამრწის ნაღირი ბევრი;
აპარატებით, ხის ტოტებზე თეთრები სხედან.
გამოინდა ბაალი, დაიხატეს:—აუშვით ვეფხვი!
და საცოდავი ზანგის ბიჭი ამას რას ხედავს:
პირდაღებული მოისწრაფის, ღრიალებს ვეფხვი;
შეკრთა ყმაწვილი,—მოეკვება შიშისგან ფეხი;
— ვაიმე დედა!—დაიცივლა—შიშველედ ხალხო!
(არცინ უშველა იმ საბრალოს, თუმცა იყვნენ ახლო).

დაგლიჯა ვეფხვმა,—გადაიღო სურათი ორმა,
ჯეკმა და ჯონმა.

— : —

— მშვენიერია! მშვენიერია!—ამოოხს ჯენტლმენი,
აფრიკის ტუემში გაღალბებულ სურათის მკვრეტი.
ზანგი ქალი კი—ამაზრუნვი ფილის მნახველი,
სტირის...
იატაკ ეწვეოება ცრემლები დედის.
ზანგის ცრემლები იმ კორეულ დედის ცრემლს ერთვის,
ვისი ქალ-ვაჟის მკვლელობა არის ამერიკელი...
— მისტერი!
უელამდე შემოგვწვდებათ ცრემლები დედის!
— მისტერი!
დედების ცრემლის ტბაში დაღრჩობა გელით!





ვოლგა-დონის არხი

*

დახედეთ ჩვენი სამშობლოს რუკას და დანახავთ, რომ ბუნებამ ერთი დიდი «შეცდომა» დაუშვა. რუსეთის ორი უდიდესი მდინარე ვოლგა და დონი სამხრეთში ერთმანეთს ასიოდე კილომეტრით უახლოვდებიან, შემდეგ კი დონი დასავლეთისაკენ მიემართება და აშოვის ზღვაში ჩადის, ვოლგა კი სამხრეთ-აღმოსავლეთით იბრუნებს პირს და კასპიის ზღვაში ჩაედინება. კასპიის ტბას ან როგორც მას სიდიდის გამო ზღვას უწოდებენ, არ გაანინა საწყლოსნო გზა აშოვისა და შვე ზღვებთან.

აღმანინებთ საუკუნოებით ოცენებოდნენ ამ ორი დიდი მდინარის—ვოლგისა და დონის შეერთებაზე, მაგრამ ეს ოცენება მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში განხორციელდა.

ზოგი კამ ისტორიიდან

